ხელშეკრულება №2

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 2015 წლის 01 იანვარი

ერთი მხრივ, შპს სარაგბო კლუბი ბათუმი (მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. 25) წარმოდგენილი დირექტორის რუსლან რუსიძის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და მეორე მხრივ ფ/პ ედუარდ გიორგობიანი პ/ნ N61001017834 (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის № 9 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტით, შპს „სარაგბო კლუბი ბათუმი"-ის საჭიროებისათვის საოფისე ფართის სარგებლობის მომსახურების შესყიდვა CPV 70200000 გამარტივებული შესყიდვის ფორმით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და უდანაკლოდ შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ფასების ცხრილი" - შესასყიდი მომსახურები ღირებულებები, რომელიც დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს ,, სარაგბო კლუბი ბათუმი"-ის საჭიროებისათვის საცხოვრებელი ბინით სარგებლობის მომსახურების შესყიდვა , მდებარე ბათუმი , ლ.ასათიანის ქ. N 28

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან ანუ 2015 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს დარიცხვით: 10 275 (ათიათასორასსამოცდათხუთმეტი) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4.3. გადახდა წარმოებს ყოველთვიურად წინსწრებით არაუგვიანეს თვის 05 რიცხვისა, დარიცხვით 856.25 ლარის ოდენობით. საშემოსავლო გადასახადს იხდის შემსყიდველი

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და წესი

5.1. მომსახურების მოწოდება განხორციელდება მომწოდებლის მიერ ქ. ბათუმში, 26 მაისის ქ. 13 ბ. 35,

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1.მიმწოდებელი ვალდებულია მოაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებული უნაკლო მომსახურება.

6.2. თუკი ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით

6.4. შემსყიდველი ვალდებულია მომწოდებლის მხრიდან მომსახურების მოწოდების შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

8. ხელშეკრულების ინსპექტირება

8.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

8.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლსა და ინსპექტირებას განახორციელებს

- მამუკა სალუქვაძე - შპს სარაგბო კლუბი ბათუმი"-ის მენეჯერი.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად ავტომატურად, თუკი მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი იქნება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია და შემსყიდველის მხრიდან არ არის გამოვლენილი ხარვეზი მოწოდებულ მომსახურებაში.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

10.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ:
ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად მიწოდება;
ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა
11.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა;
11.2. მიმწოდებელს ხელშეკრულების მოთხოვნების დარღვევისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით ყოველ-დღიურად;
11.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
11.4. შემსყიდველს 7.2. პუნქტის მოთხოვნების დარღვევისათვის დაეკისრება პირგასამ-ტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით ყოველდ-ღიურად;
11.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულე-ბების შესრულებისაგან.
12. ფორს-მაჟორი
12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულე-ბისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

13.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

13.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

13.5. ხელშეკრულების 13.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს;

14. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო

15. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი რჩება შემსყიდველს, ერთი – მომწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს სარაგბო კლუბი ბათუმი“ ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. 25 საიდ. კოდი 445393495 ს.ს ლიბერთი ბანკი საბანკო კოდი LBRTGE 22 ა/ა GE40LB0113148314606000	ფ/პ ედუარდ გიორგობიანი პ/ნ N 61001017834 ბათუმი ლ.ასათიანის ქ. N 28 ს.ს ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი LBRTGE 22 ა/ა GE34 LB 0711112582237001
დირექტორი რუსლან რუსიძე	**ფ/პ ედუარდ გიორგობიანი**

ფასების ცხრილი

N	მომსახურების დასახელება	მომსახურების ძირითადი მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწო დები ს ადგი ლი
1	2	2	3	5	6	7	8
1	საცხოვრებელი ბინით სარგებლობის მომსახურების შესყიდვა	თვე	12	856.25	10 275	31.12.2015-დე	ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. 28
				სულ	**10 275**		

სულ: 10 275 (ათიათასორასსამოცდათხუთმეტი) ლარი

ფ/პ ედუარდ გიორგობიანი

შეთანხმება

ქ. ბათუმი 2015 წლის 01 მარტი

ერთიმხრივ, შპს სარაგბო კლუბი ბათუმი (მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. 25) წარმოდგენილიდირექტორის რუსლან რუსიძისსახით (შემდგომშიწოდებული „შემსყიდველად") დამეორემხრივ ფ/პ ედუარდ გიორგობიანი პ/ნ N61001017834 (შემდგომშიწოდებული „მიმწოდებლად"),ვხელმძღვანელობთ რა ჩვენს შორის 2015 წლის 01 იანვრის N 2 ხელსეკრულების მე-13 მუხლით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით , ვთანხმდებით შეტანილი იქნას ცვლილება ჩვენს შორის 2015 წლის 01 იანვრის N 2 ხელშეკრულებაში 2015 წლის 01 მარტიდან

1.1. ხელშეკრულების 4.1. მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

ხელშეკრულებისჯამურიღირებულებაშეადგენს ხელზე ასაღებ 3 500 (სამიათასხუთას) აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს

1.2 ხელშეკრულების 4.3. მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით : გადახდა იწარმოებს წინსწრებით ყოველთვიურად. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ლარში თვის დასაწყისში არაუგვიანეს თვის 05 რიცხვისა. თვეში ხელზე 350 დოლარის ექვივალენტი ლარში, კერძოდ მეიჯარე თანხას მიიღებს თვის პირველ რიცხვში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. საშემოსავლო გადასახადს იხდის დამქირავებელი (შპს სარაგბო კლუბი ბათუმი)

1.2 ხელშეკრულების ცვლილება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით :

N	მომსახურების დასახელება	მომსახურების ძირითადი მახასიათებლები			ერთეულისფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	2	2		3	5	6	7	8
1	საცხოვრებელი ბინით სარგებლობის მომსახურების შესყიდვა	თვე		10	350 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი	3500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი	31.12.2015 ჩათვლით	ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. 28
					სულ	3 500		

სულ: 3 500 (სამიათასხუთას) აშშ დოლარის ექვივალენტ ლარი

1.3. სხვა ნაწილში 2015 წლის 01 იანვრის N 2 ხელშეკრულება რჩება ძალაში

1.4. ეს შეთანხმება წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს იმ ვადაში რა ვადაშიც მოქმედებს ძირითადი ხელშეკრულება

შპს სარაგბო კლუბი ბათუმის დირექტორი

რუსლან რუსიძე

ედუარდ გიორგობიანი

პ/ნ 61001017834

ისამართი ------

ოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება

ათუმის შს სამმართველო

აცემის თარიღი 16. 06. 1998

მოქმედების ვადა

თანამდებობის პირის ხელმოწერა უვადო

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა

პირადი № 61001017834

სახელი ედუარდ

გვარი გიორგობიანი

დაბადების თარიღი 17. 08. 1953

დაბადების ადგილი ბათუმი

ეროვნება ------

პირადი ხელმოწერა

№ დ 0131014

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 05.22.30.006.01.522

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მომზადების თარიღი
N 882011571709 - 24/11/2011 17:58:03	06/12/2011 12:30:44

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოლ
ბათუმი	სექტორი 22			
05	22	30	006	01/522

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:1015.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **05.02.30.004;**

მისამართი: ქალაქი ბათუმი , ქუჩა ლ.ასათიანი , N 28

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 052007012653 , თარიღი 31/07/2007

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ი.ბ.ა." ძალა ერთობაშია" კრების ოქმი N8 N111273499 , დამოწმების თარიღი:18/11/2011 ,ნოტარიუსი ნ.ფაღავა
- ნასყიდობის ხელშეკრულება N12010 , დამოწმების თარიღი:13/11/1991 ,ნოტარიუსი ვ.ნინიძე

მესაკუთრეები:
ედუარდ გიორგობიანი ,P/N: 61001017834

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:		ფართი:	წილი:
ედუარდ გიორგობიანი	საკუთრება	ფართი	სართული1,	31.10 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის